პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული სოფელი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

13
სექტემბერი
ოთხშაბათი
1961 წ.
№ 141 (1777)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

მე-17 ადგილი, რისთვის?!

ჩვენი გაზეთის მკითხველები ალბათ ადევნებდნენ თვალყურს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მსვლელობას. დასაწყისში ყველაფერი წესრიგზე იყო, განსაკუთრებით კარგად მიდიოდა საქმე ფეხბურთში. საქართველოს ნაკრებმა წარმატებით განვლო თავისი ქვეჯგუფი და ჩემპიონობის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული პრეტენდენტი იყო. და ამ დროს ბაქოდან მიღებულ ერთ-ერთ ცნობაში ამოვიკითხეთ, რომ ჩვენმა ფეხბურთელთა გუნდმა მე-17 ადგილი დაიკავა. ჩემპიონობის პრეტენდენტი მე-17 ადგილზე! როგორ, რისთვის? თვალებს არ ვუჯერებდით...

ყველაფერს ფარდა აეხადა ამას წინათ ჩატარებულ საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. აი როგორ მოხდა ყოველივე ეს.

როდესაც ჩვენმა გუნდმა ფინალში ერთერთი თავისი მატჩი მოგებით დაამთავრა და ფეხბურთელები გასახდელისაკენ გაემართნენ, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გამოიძახა, მწვრთნელი ს. სიხარულიძე და მას განუცხადა, რომ ტ. ვერულიძე და ა. ასანიძე (ორივე ბათუმიდან მონაწილეობდნენ საქართველოს ნაკრებში) დაბადებული არიან არა 1945 წელში, როგორც ამას გათამაშების დებულება მოითხოვდა. ს. სიხარულიძეს ამასთანავე აქვე წარუდგინეს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული მოზარდთა გუნდების გორის ზონის ოქმები, სადაც აღნიშნული იყო, რომ ასანიძესა და ვერულიძეს იქ უთამაშნიათ. დებულება ამასაც კრძალავდა. სიხარულიძემ სასტიკი პროტესტი განაცხადა და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ორივე ფეხბურთელი 1945 წელსაა დაბადებული და რომ მათ არ დაუშვებდნენ გორის ზონაში სათამაშოდ. როცა მშრალი მტკიცებით არაფერი გამოვიდა, მან სთხოვა სპარტაკიადის მთავარ მსაჯს დაკავშირებოდა ბათუმსა და შეემოწმებინა ასანიძის და ვერულიძის ასაკი.

და შეამოწმეს... ვერულიძე 1944 წელში, ასანიძე კი 1941 წელში აღმოჩნდა დაბადებული. მაგრამ პასპორტები? ვერულიძეს აღმოაჩნდა ორი პასპორტი, ხოლო ასანიძეს სამი (1941, 1944, 1945 წლებში დაბადებულის პასპორტები). ყველაფერი ნათელი იყო. ჩვენი სპორტული დელეგაციის გადაწყვეტილებით გუნდი მოიხსნა გათამაშებიდან, ხოლო სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგიამ, თანახმად დებულებისა, დაგვაწერა 19 საჯარიმო ქულა და მე-17 ადგილზე „გადაგვისროლა“ ფეხბურთში. ამ აღმაშფოთებელმა შემთხვევამ საბედისწეროდ იმოქმედა დელეგაციის საერთო მაჩვენებლებზე და მესამე ადგილი, რომელზეც მტკიცედ ვიდექით, ფეხიდან გამოგვაცალა. სპარტაკიადაზე საერთო მეოთხე ადგილზე გამოვედით.

პრეზიდიუმის სხდომაზე ვერულიძისა და ასანიძის „აღმზრდელი მწვრთნელები“ გ. ჩავლეიშვილი (ბათუმის „დინამოსთან“ არსებულ მოზარდთა გუნდის მწვრთნელი), ვ. კობიძე (ბათუმის სპორტსკოლის დირექტორი), ვ. კვაჭაძე (აჭარის სპორტკავშირის უფროსი ინსპექტორი) და სხვები ბევრს ეცადნენ წყალის ამღვრევას, კვალის დაფარვას, თუ ვინ „დაეხმარა“ ფეხბურთელებს ყალბი პასპორტების გაფორმებაში. ფაქტებმა დაადასტურეს, მათი უშუალო მონაწილეობა საკუთარ აღსაზრდელების სხვადასხვა წლებში დაბადებულის პასპორტებით მომარაგებაში. რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არ ცდილა ასანიძისა და ვერულიძის ყალბი პასპორტების შესახებ ეცნობებია საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელობისათვის; ხოლო ჩავლეიშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს სამარცხვინო ფაქტები საკავშირო მასშტაბით გამომჟღავნებულიყო.

ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება თუ არა ვანდოთ ბავშვთა აღზრდა ჩავლეიშვილს, კობიძესა და სხვებს? რასაკვირველია არა. ეს ადამიანები სულიერად ამახინჯებენ ბავშვებს, მათ თვალწინ აწყობენ სხვადასხვა მაქინაციებს პასპორტებით, არ ადარდებთ ის ამბავი, რომ მათი წყალობით მათი აღსაზრდელები სპორტთან ერთად ყალბის მქნელობას ეჩვევიან. ბავშვი, რომელიც დღეს მწვრთნელის მიერ გაკეთებული რამდენიმე ყალბი პასპორტით დასეირნობს შეჯიბრებიდან შეჯიბრებაში, ხვალ ამას თვითონ ჩაიდენს, ჩაიდენს უფრო დიდ სიყალბეს და მოქალაქის მაგივრად სისხლის სამართლის დამნაშავეს მივიღებთ.

ქუთაისის „ტორპედოსთან“ არსებულმა მოზარდთა გუნდმა საკავშირო გათამაშების გორის ზონაში პირველი ადგილი დაიკავა, შემდეგ დერბენდში ნახევარფინალი მოიგო და კრემენჩუგს გაემგზავრა ფინალში მონაწილეობისათვის. იმისათვის, რომ მწვრთნელს კ. ხუციძეს დაემტკიცებინა თავისი სიფეხბურთო „ნიჭი“, საჭირო იყო პირველი ადგილი. და აი დატრიალდა მწვრთნელი, მოხიკა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ქუთაისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან ფეხბურთელები, შეაკოწიწა გუნდი და ფეხბურთის ფედერაციის ყოველგვარი დასტურის გარეშე, შეუმოწმებელი განაცხადით ეწვია კრემენჩუგს. კ. ხუციძეს ფხიზლად დახვდა სამანდატო კომისია, მიტმასნილი ხალხი არ დაუშვეს შეჯიბრებაზე და გუნდი დარჩა 9 კაცის ამარა. სასწრაფოდ დეპეშა გამოაგზავნეს ქუთაისში რეზერვისათვის. ახლა აქ ატყდა საქალაქო განგაში, მოძებნეს გაფანტული ასაკგადაცილებული ფეხბურთელები, შეუდგინეს სასწრაფოდ მოწმობები და ხუციძეს გაუგზავნეს, მაგრამ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიამ არც ისინი დაუშვა გათამაშებაში. 9 კაცით ითამაშა გუნდმა, ზედიზედ წააგო და შემდეგ სულ მოხსნეს შეჯიბრებიდან. მართალია, ხუციძე ამტკიცებს, რომ ჩვენ გაგვანთავისუფლეს შეჯიბრებიდანო, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. რესპუბლიკამ ასეთი „აღმზრდელების“ წყალობით წელს ორჯერ ჭამა სირცხვილი. გაზეთებმა „სოვეტსკი სპორტმა“, „კომსომოლსკაია პრავდამ“ მომხდარი ამბის გამო სამართლიანად გააკრიტიკეს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები.

რაც მთავარია, არც ერთ შემთხვევაში ჩვენ ეს თვალთმაქცობა არ გვჭირდებოდა. რესპუბლიკას არ ჭირდება უკეთმართი გზით მოპოვებული საპრიზო ადგილი. მას აქვს შესაძლებლობა თავისი ძალებით იბრძოლოს, დამარცხებიდან საჭირო დასკვნები გააკეთოს, გადააჯგუფოს ძალები და კვლავ იბრძოლოს გამარჯვებისათვის. ყალთაბანდობას კი სისხლის სამართლის დანაშაულობამდე მიჰყავს, როგორც მწვრთნელები, ისე მათი აღზრდილები.

ორიოდე სიტყვა მილიციის საპასპორტო განყოფილებაზე. მართალია, ჩვენს კომპეტენციაში არ შედის მილიციის ორგანოების კრიტიკა, მაგრამ, რადგანაც ზემოჩამოთვლილ სიყალბეში ისინიც მონაწილეობდნენ, უნდა ვთქვათ:

რის საფუძველზე გასცეს ასანიძის სახელზე 3, ხოლო ვერულიძის სახელზე 2 პასპორტი. ნუთუ აღრიცხვა, კონტროლი არ არსებობს. ნუთუ ასე თვალდახუჭული იძლევიან ბათუმსა და ქუთაისში პასპორტებს? თუ „პატრიოტული“ გრძნობები ამოქმედებთ მათ, როდესაც მათი ქალაქის სპორტული ღირსების დამცველებს ნაირნაირი პასპორტებით ჯიბეებს უვსებენ. და ეს ყოველივე ალბათ მაშინ ხდება, როდესაც პატიოსანი მშრომელი მოქალაქეები თვეობით არიან ატუზულნი საპასპორტო მაგიდის უფროსის კაბინეტთან, რათა საბჭოთა მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა — პასპორტი მიიღონ. ეს პატრიოტობა არაა, ეს სპორტის განვითარებას არ უწყობს ხელს, ეს რეკვნის ახალგაზრდობას, მილიციელებრძოლოს ასეთ ფაქტებს.

ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე უფრო მასობრივი სპორტის სახეობაა, ეს მისი დადებითი მხარეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველაზე უფრო მეტი მიტმასნილი ელემენტები აქ გვხვდება, ამიტომ უნდა გავწმინდოთ ფეხბურთელთა და ფეხბურთის მწვრთნელთა რიგები. ჩვენ ამით დიდ საქმეს გავაკეთებთ — გავაჯანსაღებთ საფეხბურთო ატმოსფეროს, თამაშის კლასსაც ავწევთ.

მწვრთნელი, რომელიც ვიღაცის სიამოვნებისათვის და თავისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის არ ინდობს ბავშვთა სულიერ სამყაროს, და წინ არ იყურება, მზრუნველობით გაზრდილ ყანაში ამოსული სარეველა ბალახია, რომელიც უნდა მოითხაროს. სწორედ ამიტომ საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ვ. კობიძე, გ. ჩავლეიშვილი ჩამოშორებულ იქნენ სპორტში მწვრთნელობისაგან. კ. ხუციძეს საერთოდ აეკრძალა სპორტში მუშაობა, მრავალპასპორტოსნებს მიეცათ სხვადასხვა ვადით დისკვალიფიკაცია, აჭარის სპორტკავშირის უფროს ინსპექტორს ვ. კვაჭაძეს, „დინამოს“ აჭარის პასუხისმგებელ მდივანს გ. ურუშაძეს და ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს უ. სალდაძეს, რომელსაც არ აინტერესებს თუ როგორ და ვინ უზრდის რეზერვს, გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მთავარი მსაჯის მოადგილეს ნ. სეფაშვილს გამოეცხადა საყვედური დოკუმენტების შემოწმებისას უყურადღებობის გამოჩენისათვის. აჭარისა და ქუთაისის სპორტკავშირების თავმჯდომარეებს შ. მყავანაძეს და ა. ჩოგოვაძეს მიეთითათ.

ეს სასჯელი, და საერთოდ, ეს სამარცხვინო ამბავი სპორტის ყველა სახეობის ფედერაციებმა და მწვრთნელებმა უნდა გაითვალისწინონ, ხოლო სპორტულმა საზოგადოებებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოფხვრან თავიანთ მუშაობაში სპორტსმენთა სესხების მავნე პრაქტიკა, საჭიროა ხალხთან მუშაობა, სპორტის მასობრიობაზე ზრუნვა და საკუთარი ძალებით ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის.

„ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფოტო

„ორი რეკორდი ერთ გაცურვაში“

მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა და პოლონეთის არმიების მოცურავეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელიც დამთავრდა ცსკა-ს სპორტსმენების გამარჯვებით — 68:46. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეხვედრები პირად გაცურვებში. ამ შეჯიბრებაში ლ. ბარბიერმა ორჯერ გაუმჯობესა საკავშირო რეკორდი 100 მ ზურგზე ცურვაში. პირველ დღეს ამ დისტანციის გავლას მოანდომა 1.02,3 წამი, ხოლო შემდეგ კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე მან ზურგზე ცურვით ეტაპი დამთავრა 1.02,1 წამში და 0,1 წამი ჩამოაჭრა ფრანგ კრისტოფის ევროპის რეკორდს.

ამ კომბინირებულ ესტაფეტაში საბჭოთა გუნდმა აჩვენა 4.11,2 წამი, ესეც ევროპის ახალი რეკორდია.

20 სექტემბერს ვენაში გაიმართება მსოფლიო პირველობა სიმძიმეთა აწევაში. ამ შეჯიბრებისათვის წარმატებით ემზადებიან საბჭოთა ძალოსნები.

სურათზე: ცნობილი შტანგისტები ა. ვორობიოვი (მარცხნივ) და ი. ვლასოვი მორიგი წვრთნის შემდეგ.

ფოტო უ. მოსესოვისა.

მსახიობები ლაშქროგებში

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ტურისტული სექცია.

ამას წინათ აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ბ. წიფურია წინასწარ შემუშავებული მარშრუტით ავტომანქანა „მოსკვიჩით“ სოხუმიდან თბილისს ესტუმრა, აქედან კი საქართველოს სამხედრო გზით ორჯონიკიძეში ჩავიდა, გაიარა ნალჩიკი, პიატიგორსკი და კურორტ კისლოვოდსკში მცირეოდენი შესვენების შემდეგ მსახიობ სახლთხუციშვილთან და ექიმ ჭელიძესთან ერთად თებერდის ნაკრძალი ადგილები მოიარა და შავიზღვის სანაპირო გზით სოხუმში დაბრუნდა.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ჩუბინიძემ, მსახიობმა ბ. თოფურიძემ და თეატრის სხვა მუშაკებმა კი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში იმოგზაურეს. სალაშქროდ მათ თებერდა აირჩიეს. მსახიობები პირველად შუმკასა და ხუბიის წყალვარდნილთა სათავეებზე ავიდნენ, შემდეგ კი ნარზანის წყლების მიდამოები მოიარეს. ისინი ყოველდღიურად ფეხით 20-25 კილომეტრს გადიოდნენ.

ნ. მიქაშავიძე

200 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭო ქობულეთში ატარებს სემინარებს ჩაის პლანტაციებში საწარმოო ტანვარჯიშის ჩამტარებელ საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებლად.

ყველაზე მეტი მსმენელი გამოგზავნა ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ლ. წულუკიძე). სწავლება წარმოებს წარმოებიდან მოწყვეტით. მაღალი შეფასება მიიღეს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ მომზადებაში ი. ვასაძემ (ლაითურის მეურნეობა), ა. მაისაიამ (გეჯეთის მეურნეობა), ბ. გოგონიამ (ინგირის მეურნეობა), ო. ლეუავამ (ლაითურის მეურნეობა) და სხვებმა, რომლებსაც თავისი მომზადების დონით შეუძლიათ უხელმძღვანელონ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვასა და განვითარებას.

მომდინარე წელს მომზადდება 200 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი. მომავალ წელს კი გათვალისწინებულია მომზადდეს ჩაის კრეფის სეზონისათვის გაცილებით მეტი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

ა. დოკვაძე

სურათებზე: მომავალი მეთოდისტები ითვისებენ ვარჯიშებს.

ლიდერთა შეხვედრამ გადანყვიტა

კარგ ტრადიციად გადაიქცა ცეკავშირის ტრესტ „საქროოპმშენში“ საჭადრაკო პირველობის ჩატარება. 1961 წლის პირველობა, რომელშიც 13 თანამშრომელი მონაწილეობდა, გამორჩეულად ჩატარდა ნაკლებ სპორტული ბრძოლით.

ჩემპიონის ვინაობა გაირკვა მხოლოდ შეჯიბრების დასკვნით დღეს, როცა ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები სპორტის ოსტატი (ფეხბურთში) ს. ჯეჯელავა და კ. ნიკურაძე პარტია მოიგო ს. ჯეჯელავამ, გამარჯვებულმა 10,5 ქულა მოაგროვა. II-III ადგილები გაიყვეს კ. ნიკურაძემ და ე. ხმელევსკიმ — 9 ქულა თვითეულს.

გ. დაშნიანი

ასპარეზობენ კოლმეურნე ველოსიპედისტები

გორში გაიმართა „კოლმეურნე“ ველოსიპედისტთა შეჯიბრება. 50-კილომეტრიან დისტანციაზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა აფხაზეთის წარმომადგენელმა ნ. ვიორგიადმ. გუნდურ რბოლაში 75 კმ-ზე პირველი ადგილი მოიპოვა აფხაზეთის გუნდმა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჯგუფური რბოლა 75 კმ-ზე, რომელიც მოიგო ვ. სიკორსკიმ (ლაგოდეხი) — 1:50.10,0. მეორე ადგილი დაისაკუთრა ა. გუძმა (აფხაზეთი), ხოლო მესამე ვ. კეხბამ (სამგორი).

ქალთა შორის 20 კმ დისტანცია ყველაზე ადრე დაფარა ვ. გვოზდიკოვამ (აფხაზეთი). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ აფხაზეთის ველოსიპედისტები. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში არც ერთი სპორტსმენი არ გამოუყვანია ბათუმის რაიონს.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

ტრამპლინი

მამაკაცები

სპორტის ოსტატი. სიმაღლე 3 მეტრი. სულ 10 ხტომი: 1 — ნახევარტრიალი I კლასიდან, მე-2 — ნახევარტრიალი III კლასიდან, მე-3 — წინდგომიდან წინნახევარტრიალი ნახევარბრუნვით V კლასიდან, მე-4 — ერთ-ერთი ნებისმიერი ხტომი, მე-5 — ნახევარტრიალი II კლასიდან, მე-6 — ნახევარტრიალი IV კლასიდან, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 — დანარჩენი ნებისმიერი ხტომები.

დააგროვოს 150 ქულა.

პირველი თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. სულ 8 ხტომი: 5 სავალდებულო ხტომი სპორტის ოსტატის პროგრამიდან და 3 ნებისმიერი ხტომი.

დააგროვოს 1 მეტრიდან — 95 ქულა, 3 მეტრიდან — 100 ქულა.

მეორე თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. სულ 6 ხტომი:

5 სავალდებულო ხტომი სპორტის ოსტატის პროგრამიდან და 1 ნებისმიერი ხტომი.

დააგროვოს 1 მეტრიდან — 53 ქულა, 3 მეტრიდან — 55 ქულა.

მესამე თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. სულ 4 ხტომი: სპორტის ოსტატის პროგრამიდან I, II, III და IV კლასის ხტომები.

დააგროვოს 1 მეტრიდან — 28 ქულა, 3 მეტრიდან — 30 ქულა.

ჭაბუკთა პირველი თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. სულ 5 სავალდებულო ხტომი სპორტის ოსტატის პროგრამიდან.

დააგროვოს 42 ქულა.

ჭაბუკთა მეორე თანრიგი. სიმაღლე 1 მეტრი. სულ 4 ხტომი: 1 — წინდგომიდან გამორბენით ჩახტომი ფეხებით ძირსკეცვით, მე-2 — უკუდგომიდან ჩახტომი ფეხებით ძირს წელგამართული, მე-3 — ნახევარტრიალი ხელფეხდაკრეფით 1 კლასიდან, მე-4 — ნახევარტრიალი წელგამართული II კლასიდან.

დააგროვოს 20 ქულა სიძნელის კოეფიციენტის ჩაუთვლელად.

შენიშვნა: ყველა ხტომები უნდა სრულდებოდეს ზუსტად ზევით მოცემული თანმიმდევრობით. ნებისმიერი ხტომები ამორჩეული უნდა იყოს სხვა და სხვა კლასებიდან თითო-თითო.

* * *

ქალები

სპორტის ოსტატი. სიმაღლე 3 მეტრი. პროგრამა იგივე, რაც მამაკაცებისათვის.

დააგროვოს 135 ქულა.

პირველი თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. პროგრამა იგივე, რაც მამაკაცებისათვის.

დააგროვოს 1 მეტრიდან — 84 ქულა, 3 მეტრიდან — 90 ქულა.

მეორე თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. პროგრამა იგივე, რაც მამაკაცებისათვის.

დააგროვოს 1 მეტრიდან — 48 ქულა, 3 მეტრიდან — 50 ქულა.

მესამე თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი. სულ 3 ხტომი: 1 — ნახევარტრიალი 1 კლასიდან, მე-2 — ნახევარტრიალი II კლასიდან და მე-3 — ნახევარტრიალი IV კლასიდან.

დააგროვოს 22 ქულა.

ჭაბუკთა პირველი თანრიგი. სიმაღლე 1 ან 3 მეტრი, პროგრამა იგივე, რაც ჭაბუკებისათვის.

დააგროვოს 40 ქულა.

ჭაბუკთა მეორე თანრიგი. სიმაღლე 1 მეტრი. პროგრამა და ქულათა რაოდენობა იგივე, რაც ჭაბუკებისათვის.

კოშკურა

მამაკაცები

სპორტის ოსტატი. სიმაღლე 10 მეტრი. სულ 10 ხტომი: 6 ნებისმიერი ხტომი, ყოველი კლასიდან თითო-თითო, რომელთა სიძნელის კოეფიციენტების ჯამი 11,2 არ აღემატება და 4 ნებისმიერი ხტომი სხვადასხვა კლასიდან თითო-თითო სიძნელის კოეფიციენტის განუსაზღვრავად.

დააგროვოს 155 ქულა.

პირველი თანრიგი. სიმაღლე 10 მეტრი. სულ 8 ხტომი: 6 ნებისმიერი ხტომი ყოველი კლასიდან თითო-თითო, რომელთა სიძნელის კოეფიციენტების ჯამი 11,2 არ აღემატება და 2 ნებისმიერი ხტომი სხვადასხვა კლასიდან სიძნელის კოეფიციენტის განუსაზღვრავად.

დააგროვოს 105 ქულა.

მეორე თანრიგი. სიმაღლე 5-10 მეტრი, სულ 7 ხტომი: 6 ნებისმიერი ხტომი ყოველი კლასიდან თითო-თითო, რომელთა სიძნელის კოეფიციენტების ჯამი 11,2 არ აღემატება და 1 ნებისმიერი ხტომა სიძნელის კოეფიციენტის განუსაზღვრავად.

მესამე თანრიგი. სიმაღლე 5-10 მეტრი. სულ 4 ხტომი: 1 ნახევარტრიალი I კლასიდან, მე-2 — ნახევარტრიალი II კლასიდან, მე-3 — ნახევარტრიალი III კლასიდან, მე-4 — ნახევარტრიალი IV კლასიდან.

დააგროვოს 30 ქულა.

ჭაბუკთა პირველი თანრიგი. სიმაღლე 5-10 მეტრი. პროგრამა იგივე, რაც ზრდასრულთა პირველ თანრიგისათვის.

დააგროვოს 28 ქულა.

ქალები

სპორტის ოსტატი. სიმაღლე 5-10 მეტრი. სულ 7 ხტომი: 4 სავალდებულო — ნახევარტრიალები I, II, III და IV კლასებიდან და სამი ნებისმიერი ხტომი სხვადასხვა კლასიდან თითო-თითო სიძნელის კოეფიციენტის განუსაზღვრავად.

დააგროვოს 90 ქულა.

პირველი თანრიგი: სიმაღლე 5-10 მეტრი. სულ 5 ხტომი: 4 სავალდებულო ოსტატის პროგრამიდან და 1 ნებისმიერი სიძნელის კოეფიციენტის განუსაზღვრავად.

დააგროვოს 50 ქულა.

მეორე თანრიგი. სიმაღლე 5-10 მეტრი. 4 სავალდებულო ხტომი ოსტატის პროგრამიდან.

დააგროვოს 32 ქულა.

მესამე თანრიგი. სიმაღლე 5-10 მეტრი. სულ 3 ხტომი: ნახევარტრიალები I, II, IV კლასებიდან.

დააგროვოს 22 ქულა.

ჭაბუკთა პირველი თანრიგი. სიმაღლე 5-10 მეტრი. პროგრამა და ქულათა რაოდენობა იგივე, რაც ზრდასრულთა მესამე თანრიგისათვის.

ბანია-უკრაინა

კიევი. (ტელეფონით). თბილისში ჩატარებული საერთაშორისო მატჩების შემდეგ დანიელი ხელბურთელები კიევს ესტუმრნენ. უკრაინის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა თავისი პირველი შეხვედრები დანიელ ხელბურთელებთან გამარჯვებით დაამთავრეს. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ვაჟთა გუნდებს შორის. უპირატესობის სასწორი ხან ერთი გუნდის მხარეზე იხრებოდა, ხან მეორისაზე. ბოლოს უკრაინელმა ხელბურთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მატჩი მინიმალური განსხვავებით — 20:19 მოიგეს.

ლ ე ლ ო

წყალში ხტომა

თანრიგების შესრულების პირობები

1. სპორტის ოსტატის ნორმის შესრულება ითვლება იმ შემთხვევაში თუ იგი შესრულებული იქნა ერთჯერ ერთ-ერთ შემდეგ შეჯიბრებაში: საბჭოთა კავშირის პირველობა, საკავშირო შეჯიბრება მოკავშირე რესპუბლიკების ან ნსს და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის; ან ნორმის ორჯერ შესრულება 2 წლის განმავლობაში შემდეგ შეჯიბრებებში: მოკავშირე რესპუბლიკათა ან ქ. ქ. მოსკოვის და ლენინგრადის პირველობა, ნსს და უწყებათა პირველობა, საკავშირო მოსწაულეთა სპარტაკიადები და სხვა საკავშირო შეჯიბრებები.

2. პირველი თანრიგის ნორმის შესრულება ითვლება იმ შემთხვევაში თუ იგი ნაჩვენებია არანაკლებ ქალაქის მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში.

3. მეორე და მესამე, ჭაბუკთა პირველი და მეორე თანრიგების შესრულება ითვლება ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგის მიხედვით.

4. მოთხოვნილებები მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობისადმი:

ა) სპორტის ოსტატის ნორ[illegible] შესრულებულად ითვლება იმ [illegible] მთხვევაში თუ ხაზზე მყოფ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში იქნება არანაკლებ ერთი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ან ორი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ბ) პირველი თანრიგის ნორმა შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში თუ ხაზზე მყოფ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში იქნება არანაკლებ ერთი რესპუბლიკური და ორი პირველი კატეგორიის მსაჯი.

გ) მეორე თანრიგის ნორმა შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში თუ ხაზზე მყოფ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში იქნება არანაკლებ ერთი პირველი და ორი მეორე კატეგორიის მსაჯი.

5. ჭაბუკთა მეორე თანრიგი ენიჭება არანაკლებ 12 წლის ბიჭებს და გოგონებს, რომლებსაც აქვთ წყალში ხტომაში მეცადინეობის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

6. სათანრიგო ნორმების შესრულება ეთვლება იმ სპორტსმენებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ მონაწილეობას არა ნაკლებ შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში:

მოზარდთა თანრიგებისათვის — 3-ჯერ, მეორე და მესამე თანრიგებისათვის — 4-ჯერ, პირველი თანრიგისათვის — 5-ჯერ, სპორტის ოსტატებისათვის — 6-ჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგები არასახარბიელო

საქართველოს სპორტკავშირის პრიზზე ცურვაში შეჯიბრების მეორე დღე შედეგებით ისე გავდა პირველს, როგორც ორი-წვეთი წყალი. მონაწილენი ვერც ამ დღის მაღალი მაჩვენებლებით დაიტრაბახებენ, თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ფინალში უძლიერესთა შეჯიბრება ერთგვარად გამოასწორებდა მდგომარეობას და თუ ახალ რესპუბლიკურ რეკორდს არა, საინტერესო ბრძოლებს მაინც აჩვენებდნენ მაყურებლებს.

ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ექვსი ფინალისტიდან წინასწარ გაცურვებში ყველაზე კარგი დრო ჰქონდა ქუთაისელ მ. კონოვალოვას — 1.14,7 წამი. იგი თბილისელ მოცურავეებთან ბრძოლაშიც ფინალში პირველი მივიდა ფინიშზე, მაგრამ 1,1 წამით უარესი შედეგით, ვიდრე წინადღეს.

შორს არც ვაჟები წასულან. ჯერ იყო და 6 ფინალისტიდან სტარტზე არ გამოცხადდა „შრომითი რეზერვების“ გუნდის წევრი ვ. ანანოვი, ხოლო დანარჩენი ხუთი იბრძოდა არა გამარჯვებისა და მაღალი შედეგის ჩვენებისათვის, არამედ, რომ არ მოხვედრილიყვნენ მეოთხე-მეხუთე ადგილზე. ერთადერთი, ვინც ტონს აძლევდა ბრძოლას, თბილისელი გ. კორბუკოვი იყო, რომელმაც წინადღის მაჩვენებელი 1 წამით გააუმჯობესა და ზუსტად ერთი წუთის შემდეგ მივიდა ფინიშთან, რითაც უზრუნველყო პირველი ადგილი თავისთვის.

ამ დღეს შეჯიბრების კიდევ სამი პრიზიორი გამოვლინდა ვაჟთა შორის 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში. აქ ორმა პრიზიორმა — ბურევესტნიკელმა ე. ხიმჩიანმა და ლოკომოტიველმა ა. პისკარიოვმა აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი. გაიმარჯვა ე. ხიმჩიანმა — 1.10,8. მესამე ადგილზე გამოვიდა ზ. შილაკაძე („დინამო“ I) — 1.16,1 წ.

სხვა სახეობებში მოეწყო წინასწარი გაცურვები, რომელთაგან აღსანიშნავია ვაჟთა 200 მ ბრასით და 400 მ თავისუფალი სტილით შეჯიბრებანი. ორივეში მოეწყო ორ-ორი გაცურვა. ბრასის სტილით ცურვაში ორჯერვე თავი ისახელეს სპარტაკელმა ოსტატებმა. ა. ტატუკაევმა თავის გაცურვაში უახლოეს კონკურენტს ვ. ჩერნიკოვს („შრომითი რეზერვები“) 15 წამით მიასწრო ფინიშზე, ხოლო მეორე გაცურვაში სოფიის უნივერსიადის ჩემპიონმა ი. ფუნიკოვმა აჩვენა დღის საუკეთესო შედეგი — 2.48,2, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ეს მაჩვენებელი 10,4 წამით ჩამორჩება მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს, აშკარა გახდება, რომ უძლიერესნიც კი მაღალი შედეგების ჩვენებისათვის თავს არ იწუხებდნენ.

როცა მსაჯმა შეჯიბრების დაწყების ნიშანი მისცა 400 მ თავისუფალი სტილით მეორე გაცურვის მონაწილეებს, წინა დღეს 1.500 მეტრზე გამარჯვებული ვ. ზლობინი („დინამო“) საგრძნობლად ჩამორჩა, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს იყო სპორტსმენის ტაქტიკური მანევრი და ამასთან შეცდომაც, რადგან მანევრმა ერთგვარად გაამართლა, როცა ზლობინმა პირველი ადგილი მოიგო, მაგრამ სტარტიდანვე მაღალი ტემპის შემოხვევაში, მას ალბათ შეეძლო ამ დღეს ეჩვენებინა ოსტატის შედეგი.



სურათებზე: მარცხნივ — ზურგზე მოცურავეთა სტარტი. მარჯვნივ — ი. ფუნიკოვი დისტანციაზე. ფოტო მ. ზარგარიანისა.

დაიწყო კიშინიოვის ტური

კიშინიოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის (ქალთა შორის) დასკვნითი ტური. გამარჯვებებს მიაღწიეს პირველობის ლიდერებმა ლენინგრადის სკამ და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტმა. პირველმა დაამარცხა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი — 50:39. ლატვიელმა კალათბურთელებმა მოუგეს მოსკოვის დინამოელებს — 75:34.

შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა ტარტუს უსკ-ასა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრა. ესტონელმა კალათბურთელებმა მოიგეს მატჩი მინიმალური განსხვავებით — 48:47. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები შეხვდნენ დედაქალაქის „ტრუდის“ წარმომადგენლებს. მატჩი მოიგეს მოსკოველმა სპორტსმენებმა — 56:44.

მეორე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ესტონეთისა და ლატვიის კალათბურთელებმა. უსკ-ამ დაამარცხა ლენინგრადის სკიფი — 49:29. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ტტტ-ს და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრა.

პირველ წუთებზე უპირატესობა რიგელთა მხარეს იყო, მაგრამ თბილისელმა სპორტსმენებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში — 7:7, 9:9. შემდეგ უკვე წინ გადიან სტუდენტები. მათ მიჰყავთ ანგარიში 2-4 ქულის სხვაობით. მე-10 წუთზე თბილისის გუნდი წინაა 4 ქულით — 13:9. მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს — 20:17.

მეორე ნახევარში უპირატესობა ტტტ-ს მხარეს გადადის, რომელიც იგებს კიდეც შეხვედრას ანგარიშით 63:42.

სსრ კავშირის თასზე

ბევრ მოულოდნელობას აქვს ადგილი საკავშირო თასის მიმდინარე მეოცე გათამაშებაში. ერთი მათგანი იყო 11 სექტემბერს კიევის ცენტრალურ სტადიონზე გამართული მატჩი, როცა ადგილობრივ „დინამოს“ ეთამაშებოდა კრამატორსკის „ავანგარდი“. მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ძირითად დროში გაესწორებინათ ანგარიში კრამატორსკელებისათვის, მაგრამ ამაოდ. 90 წუთი ფრედ — 2:2 დამთავრდა და მხოლოდ დამატებით დროში შეძლეს კიეველებმა გადამწყვეტი გოლის გატანა — 3:2. ისინი მერვედ ფინალში შეხვდებიან ლენინგრადის „ადმირალტეეცს“.

* * *

მოსკოვში გაიმართა მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს, ადგილობრივ „დინამოსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის. მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 2:1.

სიჭაბუკემ ძლია გამოცდილებას

კალინინგრადის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ კორტებზე დაიწყო საბჭოთა კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა 1961 წლის პირადი პირველობის გათამაშება ჩოგბურთში.

შეჯიბრების მეორე დღეს ჩოგბურთის სტადიონის 14 კორტიდან მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ცენტრალური მოედანი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის ორი უკანასკნელი წლის ჩემპიონი კიეველი მ. მოზერი და ჩვენი ქვეყნის მიმდინარე წლის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის — თბილისელი ა. მეტრეველი.

ტრადიციულად ერთეულთა შეხვედრების ჩემპიონები წლების მანძილზე ინარჩუნებენ ხოლმე თავიანთ ტიტულს და ახლაც არავის ეპარებოდა ეჭვი მოზერის იოლ გამარჯვებაში. კიეველმა მართლაც ადვილად მოუგო პირველი პარტია 16 წლის ა. მეტრეველს—6:2, მაგრამ მომდევნო პარტიაში ჭაბუკი ქართველი ისე გათამაშდა, რომ მოზერმა მის თავბრუდამხვევ იერიშებთან ვერაფერი გააწყო — 4:6. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მესამე პარტია, მაგრამ ამჯერად მოზერის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა თავისი სახელის საბოლოო რეაბილიტირება მეოთხე პარტიაში სცადა და ანგარიშიც დამაჯერებლად გაზარდა — 5:2. მოზერს ამჯერად გეიმისა და მასთან პარტიის მოსაგებად ერთადერთი ბურთის ჩაგდება სჭირდებოდა, სჭირდებოდა მაგრამ ა. მეტრეველმა ეს საბედისწერო ბურთი მოიგო და ჩოგბურთის გულშემატკივარნი სენსაციური ამბის მოწმენი გახდნენ: ა. მეტრეველმა ზედიზედ მოიგო 5 გეიმი და თითქმის წაგებული პარტია (5:2) თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 7:5.

კიეველი სპორტის ოსტატი შედრკა, იგი თავს აღარ ზოგავდა თვითეული ბურთის გადასარჩენად, მაგრამ თბილისელი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. იგი დროულად გადიოდა ბადესთან და ბურთის მკვეთრი დარტყმებით მეთოდურად ამსხვრევდა ჩემპიონის წინააღმდეგობას.

სიჭაბუკემ ძლია გამოცდილებას (8:6) და მ. მოზერმა პირველმა მიულოცა ჭაბუკ ქართველს ოფლით მოპოვებული გამარჯვება.

წარუმატებლად ითამაშა ამ დღეს ნ. მძინარიშვილმა, რომელმაც დროულად ვერ შეაფასა ბაქოელი ა. სპირიდონოვის შესაძლებლობანი და დამარცხება განიცადა — 2:3. საქართველოს ჩემპიონმა ა. ვერულავამ შეჯიბრების დროს ტრავმა მიიღო და გამოეთიშა ასპარეზობას.

საინტერესოდ წარიმართა ი. რიაზანოვას შეხვედრა მ. მასლოვასთან. პირველ პარტიაში რამდენჯერმე გათანაბრდა ანგარიში, მაგრამ საბოლოოდ მაინც თბილისელის გამარჯვებით დამთავრდა — 8:6. მეორე პარტიაში მოწინააღმდეგემ შეძლო გამარჯვების მოპოვება — 7:5, ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება, გადამწყვეტ პარტიაში ი. რიაზანოვამ ანგარიშით 6:3 დაამარცხა მასლოვა და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა.

შეჯიბრება გრძელდება...



★

ამას წინათ სოხუმში გამართულ საბჭოთა კავშირის უძლიერეს ძალოსანთა საჩვენებელ გამოსვლაზე დიდ წარმატებას მიაღწია რიგელმა ვ. სტეპანოვმა. ქვემძიმე წონის სპორტსმენმა 157,5 კგ. აკიმა და შესწორება შეიტანა ეხოფლიო რეკორდების ცხრილში.

სურათზე: ვ. სტეპანოვი სარეკორდო სიმძიმის აწევის შემდეგ. ფოტო ვ. სემიონოვისა.

★

ხუთი ტურის შემდეგ

ბელგრადი
სექტემბერი
1961

ბელგრადის საერთაშორისო ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს იუგოსლავიის ჭადრაკის მოყვარულთა შორის. შენობა, სადაც ტარდება იგი, საკვლია მაყურებლებით. ცენტრალური პარტიების დემონსტრაცია ხდება კუ-ორორტის ყველა კუთხეში, ტრანსლაციას თვალყურს ადევნებენ ბელგრადშიც.

ტურნირზე ჩამოსულია უამრავი კორესპონდენტი სხვადასხვა ქვეყნიდან. აქ სხვათა შორის არიან ამერიკელი ჟურნალისტები, რომლებიც სხვებზე მეტს აქტიურობენ, ეს გასაგებიცაა, რადგან ფიშერი და ბისჰაიერი ჯერჯერობით ლიდერთა შორის იმყოფებიან.

მეხუთე ტურში ბისჰაიერის წინსვლა შეაჩერა გლიგორიჩმა, ამ დღეს ოლაფსონმა დაამარცხა გელერი, პორტიშმა — უდოვჩიჩი, კერესმა — პახმანი. ფრედ დამთავრდა ნაიდორფ-ტრიფუნოვიჩის, პარმა-ფიშერისა და ტალ-მატანოვიჩის პარტიები.

5 ტურის შემდეგ ტურნირს ლიდერობენ ფიშერი და პეტროსიანი — 3,5 ქულა თვითეულს.

გამოვლინდა ფაღავანი

3 სექტემბერს ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რუსთავის აბსოლუტურ პირველობაზე. მონაწილეობდა 22 მოჭიდავე. შეხვედრები წაუგებლად ჩაატარა ა. პაპუაშვილმა და გახდა ქალაქის ჩემპიონი. უნდა აღინიშნოს, რომ პაპუაშვილი, ამას წინათ ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე მესამე ადგილზე გამოვიდა.

ჟ. ფილიევი

ლ ე ლ ო
მე-3 გვ. № 141 (1777)

...ურნალ „ფიზკულტურა ი სპორტი“

საბჭოთა სპორტული პრესის დიდ ოჯახში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ჟურნალს „ფიზკულტურა ი სპორტს“. ამიტომაა, რომ მას დიდი მოთხოვნილება აქვს. საბჭოთა სპორტის მოყვარულებს გარდა იგი გამოწერილი აქვთ უცხოეთის 47 ქვეყანაში.

„რით გაახარებს თავის მკითხველებს ჟურნალის რედაქცია მომავალ 1962 წელს?“ — ამ კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს, ჟურნალის მთავარ რედაქტორს პ. სობოლევს.

აი რა გვიამბო ჟურნალის რედაქტორმა:

— ჩვენი სამეცნიერო-პოპულარული, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელთაც აინტერესებთ ფიზკულტურა და სპორტის საკითხები. გამოჩენილი სპორტსმენი თუ მოსწავლე, აქტივისტ-ფიზკულტურელი, ხანშესული მკითხველი, რომელსაც ფიზკულტურა ეხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, ფიცხი გულშემატკივარი და ოდნავ მშიშარა ახალბედა, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს სპორტში; — ყველა მათ შეუძლიათ საინტერესო და სასარგებლო ნახონ ჟურნალის ყოველ ნომერში.

„ფიზკულტურა ი სპორტის“ ფურცლები მოგვითხრობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ჰარმონიული განვითარების, საბჭოთა ფიზკულტურული ნოძრაობის საჭირბოროტო საკითხებზე, იმაზე, თუ ფაბრიკებისა და ქარხნების — კომუნისტური შრომის დამკვრელები როგორ უთავსებენ შრომას სპორტში მეცადინეობას.

1962 წლიდან რედაქცია აწესებს რუბრიკას შემდეგი სათაურით: „ჩვენ წარმოგიდგენთ“. ამ რუბრიკის ქვეშ მოთავსებულ მასალებში ჟურნალი მკითხველებს გააცნობს საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის საუკეთესო ადამიანებს. იანვრის ნომერში ჟურნალი აპირებს გახსნას „ფიზკულტურა ი სპორტის“ უნივერსიტეტი“, სადაც ლექციებს წაიკითხავენ მწვრთნელები, მეცნიერები, გამოჩენილი სპორტსმენები.

უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი მხატვრული ლიტერატურის განყოფილება. ახალი ნაწარმოებების მოწოდება იკისრეს მწერლებმა ვ. ვასილევსკაიამ, ი. კაზაკოვმა, ი. ნაგიბინმა, ი. ტრიფონოვმა, რ. როჟდესტვენსკიმ, ბ. სლუცკიმ, მ. ლუკონინმა, ა. ვოზნესენსკიმ, კ. ვანშენკინმა. ჟურნალი დაბეჭდავს ინფორმაციებს, მკითხველებს მისცემს სპორტის ცალკეულ სახეობებში რეკომენდირებული მეთოდური ლიტერატურის სიას.

ჩვენი ჟურნალის სპეციალურ კორესპონდენტებთან ერთად მკითხველები „იმოგზაურებენ“ ჩილეში —მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში, პრაღაში—ტანვარჯიშში ევროპის პირველობებზე, მორიგი ოლიმპიადის ქვეყანაში და ა. შ.

ჟურნალში რაც ახალი და კარგი კეთდება, ზოგიერთი ნაკარნახევია მკითხველებისაგან და მომავალ წელსაც „ფიზკულტურა ი სპორტი“ სიამოვნებით მიიღებს მკითხველთა ყველა რჩევა-დარიგებას.

ჟურნალზე ხელმოწერა განუსაზღვრელია. ერთი წლით ხელმოწერის ფასი 3 მანეთი და 50 კაპ.

ერერა ასრულებს დანაპირებს

მილანში მწვრთნელად მიწვეული ე. ერერა ერთ-ერთ მეტად კოლორიტულ ფიგურად ითვლება დასავლეთ ევროპის ფეხბურთში. იგი ტომით ესპანელია, დაიბადა არგენტინაში და დაწინაურდა საფრანგეთში. როდესაც მისმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა ეროვნულ ჩემპიონატში, მან ეს იმით ახსნა, რომ მილანელებს აკლდათ „ვარსკვლავები“. და რათა ხაზი გაესვა თავის ერთგულებისათვის „ინტერნაციონალესადმი“ უარყო ეროვნული ფედერაციის წინადადება ჩამდგარიყო ნაკრების სათავეში. უნდა ითქვას, რომ გუნდის მეპატრონემ ფული არ დაიშურა და „ინტერნაციონალეს“ ორი გამოჩენილი ფორვარდი შესძინა. ახლა კი „ინტერთან“ თამაში იტალიის გუნდებისათვის ნამდვილი პრობლემა გახდა. ინგლისის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ჰიტჩენსი ნამდვილი „ტანკია“, რომელიც შეუჩერებლივ მიიწევს კარისაკენ. მას საუცხოოდ ამარაგებს ბურთებით ცნობილი ლუიზიტო სუარესი, რომლის მოსვლამაც „ინტერის“ თავდასხმას ჰარმონიულობა მისცა.

ახალი სეზონის დაწყების წინ ერერა გუნდის მეპატრონეს შეპირდა, რომ წელს „ინტერი“ ბევრად უკეთესად ითამაშებდა. ჯერჯერობით იგი ასრულებს დანაპირებს. პირველ ტურში მილანელებმა ნამდვილი „ნოკაუტი“ გაუკეთეს ბერგამოს ძლიერ გუნდს „ატალანტას“. (6:0). ჰიტჩენსი იოლად გაურბოდა „ატალანტას“ ცნობილ შვედ ცენტრალურ მცველს გუსტავსონს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სამყაროს ნაკრებშიც კი მოხვდა. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა „ინტერის“ შეხვედრას „რომასთან.“ საქმე იმაშია, რომ ამ კლუბში თამაშობს მილანელთა კლუბის ყოფილი მოთამაშე არგენტინელი ანჯელილო, რომელთანაც ერერას

ფეხბურთის საერთაშორისო ამბები

დიდი აყალ-მაყალი მოუვიდა. მატჩი მძიმე ბრძოლის შემდეგ მოიგო „ინტერმა“ (3:2). საქმე მარტო მოგებაში არ არის. როგორც მიმომხილველები იუწყებიან, მილანელები თამაშობდნენ მწყობრად, თავისი ძალების რწმენით და იტალიის ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტები არიან.

„ბენფიკა“ — 1:0

მას შემდეგ, რაც ევროპაში ტრადიციად იქცა ამ კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში, სამხრეთ ამერიკაში გადაწყვიტეს ანალოგიური ტურნირის ჩატარება თავიანთ საუკეთესო გუნდის გამოსავლინებლად.

მაგრამ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი არაა ისე რორგანიზებული, როგორც ევროპისა, აქ კლუბები საკუთარ სურვილებსა და საჭიროებებს გაცილებით უფრო მეტ ყურაღღებას აქცევენ, ვიდრე ფედერაციებისა და გაერთიანებათა მითითებებს. ამიტომ იყო, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში ყველა უძლიერესი არ იყო წარმოდგენილი და საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა ურუგვაის ჩემპიონს — „პენიაროლს“.

მაგრამ გავიდა ერთი წელი, გათამაშება ხელმეორედ ჩატარდა და მონტევიდეოს გუნდმა კვლავ მოიგო ეს დიდი ტურნირი. „პენიაროლი“ თავისებურ, სამხრეთ ამერიკულ „რეალად“ იქცა, რომელიც ზედიზედ იგებდა ჩემპიონთა თასს.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში დაისვა საკითხი, რომ ამ ორი საფეხბურთო კონტინენტის: ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა ჩემპიონები ორ მატჩში შეხვედრდნენ ერთმანეთს და ამის შემდეგ გამოვლენილიყო თუნდაც მეტად პირობითი, მაგრამ მაინც ჩვენი პლანეტის საუკეთესო საკლუბო გუნდი.

პირველი ასეთი „საკონტინენტთაშორისო შეტაკება“ მოხდა „პენიაროლსა“ და „რეალს“ შორის და დამთავრდა „რეალის“ თვალსაჩინო გამარჯვებით, რომელმაც მოიპოვა კიდეც სპეციალური პრიზი სამფეხზე შეყენებული მოოქროვილი ბურთი.

სულ ახლახანს ლისაბონში (პორტუგალია) შედგა 1961 წლის საკონტინენტთაშორისო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ამჟამინდელი მფლობელი — „ბენფიკა“ (პორტუგალია) და „პენიაროლი“ (ურუგვაი).

ევროპაში საფუძვლიან შიშს გამოთქვამდნენ, რომ „ბენფიკა“ ვერ დაიცავდა კონტინენტის ინტერესებს, მაგრამ პორტუგალიელებმა მთელი თავიანთი მაქსიმუმი ამოწურეს და მიაღწიეს გამარჯვებას — 1:0.

17 სექტემბერს მონტევიდეოში შედგება ამ გუნდების მეორე მატჩი. ვინაიდან დებულების თანახმად საერთო გამარჯვებულის საკითხი უნდა გამოავლინოს ორი მატჩის ჯამმა, „ბენფიკას“ წინაშე მეტად ძნელი ამოცანა დგას: საჭიროა ისეთი უმნიშვნელო უპირატესობის შენარჩუნება, როგორიცაა 1:0.

მსოფლიო რეკორდსმენი მეკობრის როლში

1959 წელს საავტომობილო კატასტროფის შედეგად ჯონსონმა მძლეოსნობას თავი დაანება. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგი რომის ოლიმპიადაზე ... დახედეთ სურათს. არა, ის ნამდვილი მეკობრე როდია... მსოფლიოს რეკორდსმენს ათჰიდში, ზანგ მძლეოსანს რაფერ ჯონსონს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირშიც. ჩვენ იგი ვნახეთ 1959 წელს ლუჟნიკში საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების შეჯიბრების დღეებში.



რაფერ ჯონსონისა და საბჭოთა მძლეოსნის ვასილ კუზნეცოვის ბრძოლას ათჰიდში მსოფლიო რეკორდისათვის რამდენიმე წლის მანძილზე ვადევნებდით თვალყურს. ეს იყო ბრძოლა ორი თანაბარი ძალის მოწინააღმდეგისა. ისინი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან ძალაში, მოხერხებაში, სისწრაფესა და გამარჯვებისადმი რწმენაში. მსოფლიო რეკორდის მფლობელი ხან ერთი მოწინააღმდეგე იყო, ხან მეორე.

ოსნობას თავი დაანება. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგი რომის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ გამარჯვებულის კვარცხლბეკზეა. მისი ახალი რეკორდების გზაზე ახალი დაბრკოლება აღიმართა... კინო. რაფერ ჯონსონი მიიზიდა ჰოლივუდის კინოფაბრიკაში მუშაობით გამდიდრების მანიამ. საქმოსნებს ყოველთვის უხარიათ ხოლმე, როცა მათ ფილმებში სახელგანთქმული ოლიმპიური ჩემპიონები მონაწილეობენ. ეს ხომ ცუდი რეკლამა არაა კინოპროდუქციისათვის.

და აი, ჯონსონი კინომსახიობი! მას იღებენ ფილმში „ტარტუგის მეკობრეები“. ამ ფილმში იგი მეკობრის როლს ასრულებს. როგორც სურათზე სჩანს, აქ ყველაფერია მწვავე განცდებისათვის: იალქნიანი გემი და თავითფეხებამდე შეიარაღებული გამძვინვარებული მეკობრე.

ბ. ჩოხელი (სსრ კავშირი).



ა. ბუცეკი (ავსტრია)

საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩის მონაწილენი.

მეგობრული შარჟები

გ. ფირცხალავასი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02664